

შპს „იერი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თბილისი

2024

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1. ძირითადი ინფორმაცია	7
2. საქართველოს ბიზნეს-გარემო	9
3. მომზადების საფუძველი და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	9
4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
6. გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	17
7. მარაგები	17
8. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	17
9. ძირითადი საშუალებები	19
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
11. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები და წინასწარ გადახდილი გადასახადები	20
12. მიღებული ავანსები	20
13. ამონაგები	20
14. რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება	21
15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	21
16. ფინანსური შემოსავალი	21
17. არასაოპერაციო შემოსავალი	21
18. არასაოპერაციო ხარჯი	21
19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	22
20. სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები	22
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	23
22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	23

შპს „იერი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

აქტივები

მიმდინარე აქტივები	31.12.2023	31.12.2022	შენიშვნა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	484 803	405 817	4
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	81 967	168 383	5
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	739 585	5 487	6
გადახდილი ავანსები	71 092	19 742	
მარაგები	188 303	38 579	7
წინასწარ გადახდილი გადასახადები	137 332	-	12
სხვა აქტივები	12 109	11 447	
სულ მიმდინარე აქტივები	1 715 192	649 456	
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	554 689	608 990	8
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	294 896	255 561	9
სულ გრძელვადიანი აქტივები	849 584	864 551	
სულ აქტივები	2 564 776	1 514 008	

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	33 515	90 437	10
მიღებული ავანსები	967 267	60 000	11
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	-	109 298	12
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1 000 782	259 735	

სულ ვალდებულებები

1 000 782 259 735

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	854 187	395 325	
გაუნაწილებელი მოგება	709 876	858 987	
მესაკუთრეთა კაპიტალი	1 564 063	1 254 312	
არამაკონტროლებელი წილი	(69)	(40)	
არამაკონტროლებელი წილი - ამხანაგობა იერი	(40)	(40)	
არამაკონტროლებელი წილი - ამხანაგობა იერი+	(29)	-	
სულ საკუთარი კაპიტალი	1 563 994	1 254 272	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2 564 776	1 514 008	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 30 ნოემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- თეიმურაზ ჯოხაძე

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „იერი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	2023	2022	შენიშვნა
ამონაგები	1 277 385	2 642 406	13
თვითღირებულების ხარჯები	(1 116 915)	(2 279 887)	14
საერთო მოგება	160 469	362 519	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(221 669)	(299 393)	
ცვეთა და ამორტიზაცია	(74 380)	(115 662)	
იჯარის ხარჯი	(17 500)	(22 750)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(107 869)	(135 329)	15
ფინანსური შემოსავალი	88 624	10 065	16
ფინანსური ხარჯები	(14 792)	-	
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	(10 901)	(28 457)	
არასაოპერაციო შემოსავალი	67 903	3 118	17
არასაოპერაციო ხარჯი	(19 026)	(77 401)	18
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე	(149 140)	(303 291)	
მოგება / (ზარალი) დაბეგვრის შემდეგ	(149 140)	(303 291)	
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული მოგება / (ზარალი)	(149 140)	(303 291)	
<i>მათ შორის, მოგება ან ზარალი მისაკუთვნებელი:</i>			
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	(149 111)	(303 281)	
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე	(29)	(9)	
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:	(149 140)	(303 291)	
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	(149 140)	(303 291)	
<i>მათ შორის, სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი:</i>			
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	(149 111)	(303 281)	
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე	(29)	(9)	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 30 ნოემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- თეიმურაზ ჯოხაძე

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „იერი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მშობელი კომპანიის მფლობელთათვის მისაკუთვნებელი	არამაკონტროლ ებელი წილი	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	18 019	1 161 853	1 169 276	(31)	1 180 257
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	377 306	-	-	-	377 306
წლის მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(303 291)	(303 281)	(9)	(303 291)
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	395 325	858 563	865 995	(40)	1 254 273
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	458 862	-	-	-	458 862
წლის მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(149 140)	(149 111)	(29)	(149 140)
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	854 187	709 423	716 884	(69)	1 563 994

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 30 ნოემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- თეიმურაზ ჯოხაძე

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „იერი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2023	2022
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	350 623	(89 383)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	34 281	(1 725)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(295 435)	377 306
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	89 470	286 197
სავალუტო კურსის ეფექტი	(10 484)	(12 287)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	405 817	131 907
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	484 803	405 817

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 30 ნოემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- თეიმურაზ ჯოხაძე

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „იერი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ძირითადი ინფორმაცია

შპს „იერი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 1999 წლის 31 აგვისტოს. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 211389781. იურიდიული მისამართია - საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კოსტავას ქ., N 60. ფაქტობრივი მისამართია: თბილისი კოსტავას 71.

კომპანიის დირექტორია თეიმურაზ ჯოხაძე (პ.ნ. 01010009154).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო სარემონტო სამუშაოების შესრულება, ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანიის ერთპიროვნული 100%-იანი წილის მფლობელია რეზიდენტი ფიზიკური პირი - ჯონი ჯოხაძე (01010012277, საქართველო).

კომპანია წარმოადგენს საქართველოში დაფუძნებული შემდეგი საწარმოს მშობელ კომპანიას (რომლებიც ერთობლივად იწოდებიან, როგორც „ჯგუფი“).

კომპანიამ შვილობილი საწარმო - ამხანაგობა იერი დააფუძნა 2019 წლის 23 აპრილს. საიდენტიფიკაციო კოდია 202489397. იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კოსტავას ქ., N 60. ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი - თეიმურაზ ჯოხაძე (პ.ნ. 01010009154). პარტნიორები:

შპს „იერი“ – წილი კაპიტალში 95.90% (რეგისტრირებული 31.08.1999წ. საიდენტიფიკაციო კოდი - 211389781. იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კოსტავას ქ., N 60.)

შპს „არქიტექტურალ მოდელინგ გრუპი“ - წილი კაპიტალში 4.10% (რეგისტრირებული 30.05.2016წ. საიდენტიფიკაციო კოდი - 405151927. იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ზ.ფანასკერტელ-ციციშვილის ქ., N 18ა, ბ.#7).

კომპანიამ მეკავშირე საწარმო - შპს „იერი ჯგუფი“ დააფუძნა 2021 წლის 5 აპრილს. საიდენტიფიკაციო კოდია 405453904. იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კოსტავას ქ., N 60. ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები - თეიმურაზ ჯოხაძე (პ.ნ. 01010009154), ბექა ქრისტესიაშვილი (პ.ნ. 01010012220). პარტნიორები: შპს „იერი“ – წილი კაპიტალში 50% (რეგისტრირებული 31.08.1999წ. საიდენტიფიკაციო კოდი - 211389781. იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კოსტავას ქ., N 60.)

შპს „იერი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს „ABEKA“ - წილი კაპიტალში 50% (რეგისტრირებული 24.12.2021წ. საიდენტიფიკაციო კოდი - 404978565. იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, შ. ნუცუბიძის ფერდობი, III მ/რ, IV კვ., კორ. 3, ბ. 39). ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები - ბექა ქრისტესიაშვილი (პ.ნ. 01010012220), მიხეილ თანდილაშვილი (პ.ნ. 01026016239). პარტნიორი: წილი კაპიტალში 100% - ბექა ქრისტესიაშვილი (პ.ნ. 01010012220). კომპანიას დაფუძნების დღიდან დღემდე სამეურნეო ოპერაციები არ განუხორციელებია.

კომპანიამ მეკავშირე საწარმო - შპს „იერი ჯგუფი“ დააფუძნა 2021 წლის 27 დეკემბერს. საიდენტიფიკაციო კოდია 404626785. იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კოსტავას ქ., N 60. ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი - თეიმურაზ ჯოხაძე (პ.ნ. 01010009154). პარტნიორები:

შპს „იერი“ - წილი კაპიტალში 50% (რეგისტრირებული 31.08.1999წ. საიდენტიფიკაციო კოდი - 211389781. იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კოსტავას ქ., N 60.)

შპს „ერთი“ - წილი კაპიტალში 50% (რეგისტრირებული 24.12.2021წ. საიდენტიფიკაციო კოდი - 404626730. იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ტარას შევჩენკოს ქუჩა, №18 / ზურაბ ჟვანიას ქუჩა, №17, ბინა №2). ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი - პაატა სირაძე (პ.ნ. 61001014683). პარტნიორი: წილი კაპიტალში 100% - პაატა სირაძე (პ.ნ. 61001014683).

კომპანიამ 2023 წლის 4 მაისს მოახდინა შპს „იერი ჯგუფი“-ს კუთვნილი 50%-იანი წილის რეალიზაცია.

კომპანიამ შვილობილი საწარმო - ამხანაგობა იერი პლიუსი დააფუძნა 2023 წლის 10 აპრილს. საიდენტიფიკაციო კოდია 205612050. იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქ., N 60. ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი - თეიმურაზ ჯოხაძე (პ.ნ. 01010009154). პარტნიორები:

შპს „იერი“ - წილი კაპიტალში 97% (რეგისტრირებული 31.08.1999წ. საიდენტიფიკაციო კოდი - 211389781. იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კოსტავას ქ., N 60.)

შპს „გრინ სტუდო“ - წილი კაპიტალში 3% (რეგისტრირებული 30.05.2016წ. საიდენტიფიკაციო კოდი - 405151927. იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ავთო ვარაზის ქ., N 64, ბ. #1).

კომპანიამ მეკავშირე საწარმო - შპს „გაზაფხული რეზიდენსი“ დააფუძნა 2023 წლის 6 დეკემბერს. საიდენტიფიკაციო კოდია 404705734. იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქ., N 60. ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი - თეიმურაზ ჯოხაძე (პ.ნ. 01010009154). პარტნიორები:

შპს „იერი“ - წილი კაპიტალში 37.50 % (რეგისტრირებული 31.08.1999წ. საიდენტიფიკაციო კოდი - 211389781. იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კოსტავას ქ., N 60.)

შპს „გვ 17“ - წილი კაპიტალში 50% (რეგისტრირებული 24.05.2022წ. საიდენტიფიკაციო კოდი - 404638745. იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ტარას შევჩენკოს ქუჩა N 18 / ზურაბ ჟვანიას ქუჩა N 17, სართული 1, ბინა 2).

შპს „იერი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს „ABEKA“ - წილი კაპიტალში 12.50% (რეგისტრირებული 18.02.2013წ. საიდენტიფიკაციო კოდი - 404978565. იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, შ. ნუცუბიძის ფერდობი, III მ/რ, IV კვ., კორ. 3, ბ. 39).

2. საქართველოს ბიზნეს-გარემო

ჯგუფი საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, რაც იწვევს ხშირ საკანონმდებლო ცვლილებებს.

3. მომზადების საფუძველი და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ა) მომზადების ძირითადი საფუძველი

2019 წლიდან დაწყებული, ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, ჯგუფი წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, ჯგუფს არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ჯგუფისთვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო

შპს „იერი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

ბ) საანგარიშგებო პერიოდი

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

გ) წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში. საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსები 2023 და 2022 წლების ბოლო დღის მდგომარეობით:

	31.12.2023	31.12.2022
ლარი / 1 USD	2.6894	2.7020
ლარი / 1 EUR	2.9753	2.8844

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „იერი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შვილობილი კომპანია

შვილობილი კომპანია არის ის საწარმო, რომელიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა ისე, რომ მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე. წილი შვილობილ კომპანიებში, რომელსაც არ ფლობს ჯგუფი წარმოადგენს უმცირესობის წილს. უმცირესობის წილი წარმოდგენილია კაპიტალში.

მეკავშირე საწარმო

მეკავშირე საწარმო არის საწარმო (მათ შორის, არაიურიდიული პირი, როგორცაა ამხანაგობა), რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და, ამავე დროს, იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც წილი ერთობლივ საქმიანობაში. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებამოსილებას, რაც არ გულისხმობს ინვესტორის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას. მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციები აღირიცხება წილობრივი მეთოდით.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებული ელიმინირებული ოპერაციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ოპერაციები, და ნებისმიერი არარეალიზებული მოგება, რომელიც წარმოიქმნება შიდაჯგუფური ტრანზაქციებიდან ელიმინირდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

გუდვილი

ჯგუფის მიერ საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი გუდვილი აღიარებულია აქტივად; თავდაპირველად გუდვილი შეფასებულია თვითღირებულებით, რაც გამოითვლება საწარმოთა გაერთიანების ღირებულების მეტობის თანხით მყიდველი საწარმოს წილზე იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში; თავდაპირველი აღიარების შემდგომ, მშობელი საწარმოს მიერ საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი გუდვილი ასახულია თვითღირებულებიდან დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით; გუდვილის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე.

შპს „იერი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ა) ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია ამონაგების შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

ბ) ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს სესხებზე დარიცხული პროცენტის თანხებს, ასევე ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს.

ჯგუფის სხვა შემოსავალს წარმოადგენს ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება, საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან, გაცემული სესხებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან და თამასუქებიდან და სხვა შემოსავალი. ჯგუფი საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გ) გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც

შპს „იერი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული საკუროსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დ) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ ჯგუფს გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

ე) გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები). სადაზღვევო კომპანიებისათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ეს მოდელი ძალიანია 2024 წლის 1 იანვრიდან.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის, შესაბამისად, არ გააჩნიათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

ვ) მარაგები

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და სხვა დანახარჯებს, რომელიც მოიცავს მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის

შპს „იერი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ზ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ჯგუფი ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება) გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

ჯგუფი არამატერიალურ აქტივებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება) გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია.

ჯგუფი აღრიცხავს ცვეთას წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით:

სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა	
შენობა-ნაგებობები	- 20 წელი
მანქანა-დანადგარები	- 5-10 წელი
კომპიუტერები, ავეჯი და სხვა ინვენტარი	- 4-5 წელი
მსუბუქი ავტომობილები, სპეც-ტექნიკა	- 5-10 წელი
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	- 4-5 წელი
განუსაზღვრელ ვადიანი არამატერიალური აქტივები	- 10 წელი

ძირითადი საშუალებების შეძენის თვე ცვეთის დარიცხვის მიზნებისთვის აიღება როგორც სრული თვე, ხოლო ძირითადი საშუალებების გასვლის თვე ცვეთის დარიცხვის დროს არ გაითვალისწინება.

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება ან ის მზადაა დანიშნულებისამებრ ექსპლუატაციაში გაშვებისთვის.

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

თ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ჯგუფისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

შპს „იერი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ი) ფინანსური ინსტრუმენტები

მსს ფასს-ის მე-11 განყოფილება - „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“, ეხება ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაციას, გაზომვას და აღიარებას.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

თავდაპირველი აღიარება

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმომ ისინი უნდა შეაფასოს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება). შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა, თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით, როგორცაა, მაგალითად, საქონლის ან მომსახურების მყიდველისთვის უპროცენტო კრედიტის მიცემა, ან დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი, მაგალითად, დაქირავებული პირისთვის სესხის მიცემა უპროცენტოდ, ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალდებულო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

კ) მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილ გადასახადებსა და წინასწარ გაწეულ ხარჯებს.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების

შპს „იერი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

ლ) აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

მ) ხარჯების აღიარება

ჯგუფი გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ბალანსში) აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

შპს „იერი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022
ფული სალაროში	-	37
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	484 803	405 780
სულ	484 803	405 817

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2023	31.12.2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	276 307	360 547
სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები	(194 341)	(192 163)
სულ	81 967	168 383

6. გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები

კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული ჰქონდა სესხი მეკავშირე საწარმოზე - შპს იერი ჯგუფზე 309,760 ლარი (100,000 აშშ დოლარი) 1 წლის ვადით, წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 6.3%-ს. სესხის ძირი მეკავშირე საწარმომ დაფარა საანგარიშგებო პერიოდში. გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტი 2021 წელს შეადგენდა 107 ლარს, 2022 წელს - 8,660 ლარს.

კომპანიამ 2023 წელს გასცა სესხი მეკავშირე საწარმოზე - შპს გაზაფხული რეზიდენსი - 739,585 ლარი (275,000 აშშ დოლარი). წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 7.5%-ს. სესხის ძირი მეკავშირე საწარმომ დაფარა ბალანსის შემდგომ პერიოდში.

7. მარაგები

	31.12.2023	31.12.2022
მასალები	186 972	38 579
საწვავ-საცხები მასალები	383	-
სხვა	948	-
სულ	188 303	38 579

8. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში - შპს იერი ჯგუფში აღრიცხულია თვითღირებულების მეთოდის გამოყენებით, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა - 608,990 ლარს. კომპანიამ მოახდინა შპს იერი ჯგუფის კუთვნილი

შპს „იერი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

50%-იანი წილის რეალიზაცია 2023 წლის მაისში. შპს იერი ჯგუფმა 2021-2022 წლები და წილის რეალიზაციამდე პერიოდი დაასრულა ზარალით.

კომპანიამ განახორციელა მეკავშირე - შპს გაზაფხული რეზიდენსის დაფუძნება 37.50%-იანი წილით, რომელშიც განხორციელებული ინვესტიცია შეადგენდა 554,689 ლარს (206,250 აშშ დოლარი). აღნიშნულმა კომპანიამ 2023 წელი დაასრულა ზარალით.

შპს „იერი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

9. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სპეციალური ინსტრუმენტ ები	მსუბუქი ავტომობილე ბი	სპეც- ტექნიკა	სხვა ძირითადი საშუალებები	არამატერი ალური აქტივები	სულ
ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	30 048	25 078	50 460	47 631	218 337	294 108	57 096	975	723 732
შემოსვლა	-	-	-	-	66 584	61 276	-	-	127 860
გასვლა	-	-	-	-	(42 437)	-	-	-	(42 437)
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	30 048	25 078	50 460	47 631	242 484	355 384	57 096	975	809 155
დაგროვილი ცვეთა									
ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	-	(9 288)	(50 460)	(38 198)	(89 560)	(225 263)	(54 915)	(487)	(468 171)
ცვეთის ხარჯი	-	(502)	-	(4 902)	(45 680)	(22 773)	(378)	(146)	(74 380)
გასული მს დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	28 291	-	-	-	28 291
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	(9 789)	(50 460)	(43 099)	(106 949)	(248 035)	(55 293)	(633)	(514 259)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	30 048	15 790	(0)	9 433	128 777	68 845	2 181	487	255 561
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	30 048	15 288	(0)	4 531	135 535	107 349	1 803	341	294 896

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სპეციალური ინსტრუმენტ ები	მსუბუქი ავტომობილე ბი	სპეც- ტექნიკა	სხვა ძირითადი საშუალებები	არამატერი ალური აქტივები	სულ
ბალანსი 2022 წლის 1 იანვარი	30 048	25 078	50 460	47 631	218 337	258 408	57 096	975	688 032
შემოსვლა	-	-	-	-	-	35 700	-	-	35 700
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	30 048	25 078	50 460	47 631	218 337	294 108	57 096	975	723 732
დაგროვილი ცვეთა									
ბალანსი 2022 წლის 1 იანვარი	-	(8 034)	(43 402)	(33 035)	(45 893)	(169 416)	(52 339)	(390)	(352 509)
ცვეთის ხარჯი	-	(1 254)	(7 058)	(5 163)	(43 667)	(55 847)	(2 575)	(97)	(115 662)
გასული მს დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	-	(9 288)	(50 460)	(38 198)	(89 560)	(225 263)	(54 915)	(487)	(468 171)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
ბალანსი 2022 წლის 1 იანვარი	30 048	17 044	7 058	14 596	172 444	88 992	4 757	585	335 523
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	30 048	15 790	(0)	9 433	128 777	68 845	2 181	487	255 561

შპს „იერი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	29 796	66 237
სხვა ვალდებულებები	3 719	24 200
სულ	33 515	90 437

11. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები და წინასწარ გადახდილი გადასახადები

ჯგუფი ძირითადად ოთხი ტიპის გადასახადის გადამხდელია: საშემოსავლო გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, ქონების გადასახადი და მოგების გადასახადები.

	31.12.2023	31.12.2022
ბიუჯეტის ერთიანი ანგარიში	(38 437)	(49 647)
მომდევნო პერიოდებში დადგენილი და დეკლარირებული ან დასადეკლარირებელი თანხები	49 348	152 114
ჩასათვლელი აქტივები	(148 244)	(16 302)
აუღიარებელი თანხები	-	23 134
სულ	(137 332)	109 298

12. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტი კომპანიისგან წინასწარ მიღებულ თანხას მომსახურების შესრულებისთვის, რომელიც უნდა განხორციელდეს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ.

13. ამონაგები

	2023	2022
რეალიზაცია 18%-იანი დღგ-ით	1 277 385	2 642 406
სულ	1 277 385	2 642 406

შპს „იერი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

14. რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება

	2023	2022
ძირითადი მასალების ხარჯები	(429 668)	(1 345 468)
პირდაპირი ხელფასი	(472 223)	(467 389)
საწარმოო დანიშნულების რემონტის ხარჯები	(9 724)	(37 369)
საწვავის ხარჯები	(43 122)	(86 922)
მომსახურების ხარჯები	(162 179)	(342 739)
სულ	(1 116 915)	(2 279 887)

15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2023	2022
კომუნალური ხარჯები	(1 166)	(3 305)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	(12 194)	(5 655)
საგადასახადო ხარჯები	(6 048)	(23 318)
საბანკო ხარჯები	(5 061)	(26 200)
სატრანსპორტო ხარჯები	(29 404)	(66 308)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯები	(2 177)	-
რემონტის ხარჯები	(10 546)	-
ავტომანქანის საექსპლუატაციო ხარჯები	(16 547)	-
სხვა ხარჯები	(24 726)	(10 544)
სულ	(107 869)	(135 329)

16. ფინანსური შემოსავალი

	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	15 078	10 065
წილის რეალიზაციით მიღებული შემოსავლები	73 546	-
სულ	88 624	10 065

17. არასაოპერაციო შემოსავალი

	2023	2022
სხვა შემოსავლები	67 903	3 118
სულ	67 903	3 118

18. არასაოპერაციო ხარჯი

	2023	2022
პირგასამტეხლოები	(18 710)	(71 161)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(316)	(6 241)
სულ	(19 026)	(77 401)

შპს „იერი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

განხორციელებული ტრანზაქციები პარტნიორთან

	<u>31.12.2023</u>	<u>31.12.2022</u>	<u>2023 წელი</u>	<u>2022 წელი</u>
ხელფასი	-	-	(52 183)	(56 413)

განხორციელებული ტრანზაქციები ძირითად მენეჯმენტთან

	<u>31.12.2023</u>	<u>31.12.2022</u>	<u>2023 წელი</u>	<u>2022 წელი</u>
ხელფასები და სხვა სარგებელი	-	-	(59 704)	(44 668)

განხორციელებული ტრანზაქციები მეკავშირე კომპანიებთან

	<u>31.12.2023</u>	<u>31.12.2022</u>	<u>2023 წელი</u>	<u>2022 წელი</u>
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები საპროცენტო შემოსავალი	739 585	5 487	-	8 660

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	<u>31.12.2023</u>	<u>31.12.2022</u>	<u>2023 წელი</u>	<u>2022 წელი</u>
ხელფასი			(18 908)	(21 434)
იჯარის ხარჯები			(15 000)	(15 000)

20. სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები

სასამართლო დავები

შპს „იერი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთო სასამართლოებში, მშობელ კომპანიას არ გააჩნდა სასამართლო დავები. წინა პერიოდში კომპანიას ჰქონდა სასამართლო დავა, კომპანია წარმოადგენდა მოსარჩელე მხარეს, მოპასუხე მხარე - შპს „ადამ გრუპი“. დავის საგანს წარმოადგენდა ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ფულადი ვალდებულების 159,954 ლარის გადახდა. ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელე მხარის სასარგებლოდ თანხის გადახდა.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიამ 2024 წლის ივნისში გაასხვისა კუთვნილი წილი მეკავშირე საწარმოში - შპს გაზაფხული რეზიდენსი (სკ 404705734).

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სხვა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იწვევდეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების დამატებას, ადგილი არ ჰქონია.

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 ნოემბერს. ჯგუფის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.